უწმინდესი პატრიარქის კირილეს მიმართვა რუსეთის სპორტსმენებს – ტოკიოს XXXII საზაფხულო ოლიმპიური თამაშების მონაწილეებს

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ მისალმება გაუგზავნა რუს სპორტსმენებს – ტოკიოს XXXII სააზაფხულო ოლიმპიური თამაშების მონაწილეებს. 9 აგვისტოს მოსკოვში ტოკიოდან დაბრუნებული რუსი სპორტსმენების საპატივცემულო ცერემონია გაიმართა.

ძვირფასო ძმებო და დებო!

ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე გამოსვლის შემდეგ მოგესალმებით სახლში დაბრუნებულებს და გულითადად გილოცავთ ბრწყინვალე შედეგებს.

თქვენ ღირსეულად წარმოადგინეთ ჩვენი სამშობლო ამ საერთაშორისო შეჯიბრებებზე და არამარტივი გარემოების მიუხედავად, რომელშიც მიმდინარეობდა შეჯიბრებები, გმირულად იბრძოლეთ გამარჯვებისთვის, გამოავლინეთ შეუდრეკელი ნებელობა, ნამდვილი სოლიდარობა და ურთიერთმხარდაჭერა, აჩვენეთ მთელს მსოფლიოს, რომ რუსული სპორტის საფუძველში უპირველეს ყოვლისა დევს სწრაფვა სამართლიან ბრძოლაში მაქსიმალური შედეგის მიღწევისა.

ვიცი, რომ ბევრი თქვენგანი, ვინც ლოცულობდა ქრისტე მაცხოვრის ტაძარში შეჯიბრებაზე წასვლის წინ, მართლმადიდებლურ სარწმუნოებიდან სულიერ ძალებს ხაპავდა, რათა თავი გაერთვა ყველა სიძნელისა და გამოცდისათვის, რომელიც თქვენს ოლიმპიურ გზაზე შეგხვდებოდათ.

გამარჯვების ღირსია მხოლოდ ის, ვინც ამაყად თავს არ განიდიდებს მოწინააღმდეგის წინაშე. საოცარია, რომ, უცვლელი პატივისცემით ეპყრობოდით ყველას, ვინც თქვენთან პაექრობდა, თქვენ მოახდინეთ ძმური გრძნობების დემონსტრირება იმ ქვეყნის ათლეტებთან, სადაც ჩვენი საერთო სისხლისა და რწმენის ხალხი ცხოვრობს, და ეს – მიუხედავად ყველა გარეგანი, ხშირად ხელოვნური დაყოფისა.

სპორტი, სამწუხაროდ, ყოველთვის არ არის პოლიტიკიდან გამოყოფილი, და ჩვენ შეგვეძლო ამაში დავრწმუნებულიყავით შეჯიბრებების მიმდინარეობაზე დაკვირვებისას. მაგრამ ვერანაირმა პოლიტიკურმა დაბრკოლებამ ვერ მოახერხა თქვენი შედეგების დაკნინება, რომლებიც ცხადია პროფესიონალებისთვის და ყველა მართალი ადამიანისთვის, რომ აღარაფერი ვთქვათ მილიონობით ჩვენს თანამემამულეზე, იმედით რომ გულშემატკივრობდნენ თქვენს გამოსვლებს მთელი ამ ხნის განმავლობაში.

როგორც სრულიად რუსეთის პატრიარქი, მე თანავუგრძნობდი ასევე სპორტსმენებს უკრაინიდან, ბელარუსიიდან, ყაზახეთიდან, მოლდოვეთიდან და სხვა ქვეყნებიდან, რომლებიც არც თუ ისე შორეულ წარსულში ჩვენს დიდ საერთო სამშობლოს შეადგენდნენ.

ვიზიარებ რა თქვენთან ერთად გამარჯვების სიხარულს, ყველა თქვენგანს ვუსურვებ ახალ მაღალ მიღწევებს სპორტულ ასპარეზზე და მოვიხმობ თქვენზე ღვთის კურთხევას.

+ კირილე,

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87859/